გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 124

2020 წლის 11 სექტემბერი

ქ. გორი

ქალაქ გორში, ბარნოვის ქუჩა №10ა-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის შუაში და ბარნოვის ქუჩაზე, მტკვარზე გადასასვლელი ხიდიდან (ახალი ხიდი) დასავლეთით 45 მეტრ მანძილზე „ხელოვნური უსწორმასწორობების" განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია ქალაქ გორში, ბარნოვის ქუჩის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება, სადაც აღნიშნავენ, რომ ბარნოვის ქუჩაზე საჭიროა ავტოტრანსპორტის სიჩქარის შემანელებელი ხელოვნური უსწორმასწორობების დაყენება. გორის მუნიციპალიტეტის მერიამ შსს-ს საპატრულო პოლიციის შიდა ქართლის მთავარ სამმართველოსთან ერთად შეისწავლა ზემოაღნიშნული საკითხი. საგზაო უსაფთხოების დაცვისა და საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, ქალაქ გორში, ბარნოვის ქუჩა №10ა-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის შუაში და ბარნოვის ქუჩაზე, მტკვარზე გადასასვლელი ხიდიდან (ახალი ხიდი) დასავლეთით 45 მეტრ მანძილზე, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობები":

„ხელოვნური უსწორმასწორობები" უნდა დამონტაჟდეს ГОСТ Р 52 605-2006-ის განსაზღვრული ნორმების შესაბამისად და მოძრაობის მიმართულებით განთავსდეს გოსტ-ის მიხედვით შემდეგი საგზაო ნიშნები: 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა"; 3.24 „სიჩქარის მაქსიმალური შეზღუდვა" (30 კმ/სთ); 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა".

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქალაქ გორში ბარნოვის ქუჩა №10ა-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის შუაში და ბარნოვის ქუჩაზე, მტკვარზე გადასასვლელი ხიდიდან (ახალი ხიდი) დასავლეთით 45 მეტრ მანძილზე, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობები":
2. განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები" დამონტაჟდეს ГОСТ Р 52 605-2006-ის განსაზღვრული ნორმების შესაბამისად და მოძრაობის მიმართულებით განთავსდეს გოსტ-ის მიხედვით შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა";

ბ) 3.24 „სიჩქარის მაქსიმალური შეზღუდვა“ (30 კმ/სთ);
გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე